

შპს „აგრომაქს ბიფ“ (ს/ნ 426524415)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი აქტივები	984,179	529,496	390,475
ფული სალაროში	0	0	0
ფული ბანკში	532	3,340	12,204
დებიტორული დავალიანება	143,221	280,587	187,795
გადახდილი ავანსები	351,900	0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (შენიშვნა 3.1)	488,526	244,670	190,197
საგადასახადო აქტივი	0	899	279
გრძელვადიანი აქტივები	3,939,943	3,388,190	2,409,375
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.2)	1,739,633	1,471,617	1,409,441
ბიოლოგიური აქტივები	39,617	39,617	39,617
ინვესტიცია სხვა საწარმოში	2,160,693	1,876,956	960,317
სულ აქტივები	4,924,122	3,917,686	2,799,850
მოკლევადიანი ვალდებულებები	293,129	454,025	39,265
სავაჭრო ვალდებულებები	171,129	386,025	30,847
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული ავანსები	0	0	0
მოკლევადიანი სესხები	122,000	68,000	8,000
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	0	0	418
გრძელვადიანი ვალდებულებები	790,657	980,062	388,413
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	790,657	980,062	388,413
სულ ვალდებულებები	1,083,786	1,434,087	427,678
სულ საკუთარი კაპიტალი	3,840,336	2,483,599	2,372,172
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,828,611	1,706,927	2,247,183
საწესდებო კაპიტალი	2,011,725	776,672	124,989
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,924,122	3,917,686	2,799,850

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (შენიშვნა 3.3)	179,068	320,048
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან (შენიშვნა 3.3)	857,906	782,032
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-955,490	-212,543
საერთო მოგება	81,484	889,537
ხელფასის სახით განაცემი	-176,109	-103,482
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-113,424	-112,623
საპროცენტო ხარჯი	-19,585	-40,438
საიჯარო ხარჯი	0	-17,208
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.4)	-540,653	-1,305,255
სხვა საოპერაციო შემოსავალი	889,971	149,213
საოპერაციო მოგება	121,684	-540,256
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	121,684	-540,256
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	121,684	-540,256

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	124,989	2,247,183	2,372,172
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	651,683	-540,256	111,427
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	776,672	1,706,927	2,483,599
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,235,053	121,684	
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	2,011,725	1,828,611	3,840,336

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1,489,937	1,071,172
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1,780,725	-1,056,339
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-163,932	-81,130
გადასახადები (გადახდა - , დაბრუნება +)	-187,921	-94,044
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-99,023	-15,634
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-741,664	-175,975
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-890,680	-69,034
ფულადი ნაკადების გასვლა ინვესტიციებში	-283,737	-916,639
სხვა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	218,964	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-955,453	-985,673
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	1,235,053	610,930
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	820,918	582,704
სესხის ძირის გადახდა	-142,048	0
სესხის პროცენტის გადახდა	-88,572	-40,438
სხვა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-131,042	0
დივიდენდების გადახდა	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,694,309	1,153,196
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-2,808	-8,452
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	0	-412
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3,340	12,204
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	532	3,340

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „აგრომაქს ბიფ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 426524415.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა. იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა

კომპანიის დამფუძნებლები არიან ლაშა ჯინჭარაძე (პ/ნ 01006013089) 50% და კონსტანტინე კვერნაძე (პ/ნ 01024006055) 50%, ხოლო კომპანიის დირექტორია კონსტანტინე კვერნაძე (პ/ნ 01024006055).

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული

ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ- ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულის ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია

ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობები და ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებზე არ გაცემულა დივიდენდი და სახელფასო ანაზღაურება.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ

დასახელება	01.01.2024	31.12.2024
პირუტყვის საკვები (სართიჭალა)	242,142	85,300
ნათობპროდუქტები	2,528	0
მოზვერი სახორცე	0	403,226
ჯამი	244,670	488,526

3.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა

დასახელება	01.01.2023			31.12.2023			31.12.2024		
	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
მიწის ნაკვეთები	314528		314528	314528	0	314528	314528	0	314528
შენობები	475897	132347	343550	475897	146608	329289	615728	163036	452692
სხვა ძირითადი საშუალება-საძოვარის მასალა	67180	15013	52167	67180	16641	50539	67180	18025	49155
სხვა ძირითადი საშუალება-სარწყავი სისტემა	254922	30698	224223	254922	47478	207444	254922	58155	196767
სხვადასხვა ძირითადი საშუალებები	26955	7951	19004	26955	12311	14644	196446	22449	173997
მანქანა-დანადგარები	453863	83522	370341	454846	137936	316910	522262	184819	337443
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1056	502	554	1056	519	537	1056	519	537
სატრანსპორტო საშუალებები	181654	92050	89603	350940	113213	237727	350940	136424	214516
სულ ძირითადი საშუალებები	1776054	362084	1413970	1946323	474707	1471617	2323062	583427	1739635

3.3 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შემოსავლის გაშიფვრა

შემოსავლები

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	
პირუტყვის მოვლა - დმანისი / რაჭა 1	26,816
პირუტყვის კვება - დმანისი / რაჭა 2	223,453
პირუტყვის კვება - დმანისი / სართიჭალა	411,584
პირუტყვის კვება - გარდაბანი / სართიჭალა	178,787
ფერმის იჯარა - გარდაბანი / სართიჭალა	17,267
პროდუქციის რეალიზაცია (ალაოს ნაქაჩი და სილოსი) - დმანისი	33,003
პროდუქციის რეალიზაცია (ალაოს ნაქაჩი) - რაჭა	8,274
პროდუქციის რეალიზაცია (ალაოს ნაქაჩი და სილოსი) - ბლაუნშტაინი	80,624
სხვა საოპერაციო შემოსავლები	57,167
ჯამი	1,036,974

3.4 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გაშიფვრა

სხვა ხარჯები	
საკომისიო ხარჯები	2499
ადმ. საწვავის ხარჯი	12613
სხვა ადმ. ხარჯები	81801
არასაოპერაციო ხარჯები	443740
ჯამი	540653

შპს „აგრომაქს ბიფ“-ის დირექტორი



კონსტანტინე კვერნაძე